



ინტელკომ ჯგუფი

ოპტიმალური გადაწყვეტილებები

ინტელკომ ჯგუფის შენობისთვის და გარე პერიმეტრისთვის ელექტროობის მოწყობა

"ინტელკომ ჯგუფი" აცხადებს ტენდერს, ქ. თბილისში, ტერევერკოს 42-ში მდებარე მშენებარე საოფისე შენობაში და მის პერიმეტრზე ელექტროობის მოწყობაზე.

მოთხოვნები კონკურსანტის მიმართ

ტენდერში მონაწილეობა შეუძლია კომპანიებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

კომპანია უნდა იყოს არანაკლებ მე-3 კატეგორიის საწარმო 2019 და 2020 წლებში და მისი ფინანსური ანგარიშგება უნდა იძებნებოდეს ვებ გვერდზე reportal.ge.

კომპანიას ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ქონდეს მინიმუმ ერთი მსგავსი პროექტი, რასაც დაადასტურებს ხელშეკრულებით ან რაიმეს სხვა დოკუმენტით.

კონკურსის ძირითადი პირობები

- 1) პროექტი უნდა განხორციელდეს 3 (სამ) ეტაპად, დანართი N1-ში მოცემულია პროექტის ზოგადი აღწერა.
- 2) წინადადება უნდა მომზადდეს და სამუშაოები შესრულდეს საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.
- 3) წინადადება უნდა მოიცავდეს როგორც ყველა საჭირო მასალას, ასევე ინსტალაციას.
- 4) ფასები მოცემული უნდა იყოს ლარებში, დღგ-ს ჩათვლით.
- 5) წინადადებაში მოცემული უნდა იყოს გამოყენებული მასალების სრული ჩამონათვალი, მწარმოებლის, მოდელის, წარმოშობის ქვეყნის და რაოდენობის მითითებით.
- 6) შეთავაზებულ მასალებს უნდა გააჩნდეთ CE სერტიფიკატები (სერტიფიკატების წარმოდგენა საჭიროა მხოლოდ გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმებამდე).
- 7) შეთავაზებული მასალების მწარმოებელი კომპანიის გამოცდილება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელიწადს.
- 8) წინადადებაში ყოველი ეტაპის შესრულების ვადა და ღირებულება მითითებული უნდა იყოს ცალ-ცალკე.
- 9) კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდება არაუგვიანეს 30 ივნისისა.
- 10) გამარჯვებულის გამოვლენისას პროექტის შესრულების ღირებულებას მიენიჭება 80% წონა, ხოლო 5-5% შესრულების ვადას, ავანსის მოთხოვნას, თანამშრომლობის გამოცდილებას და პროექტის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ წინადადებებს.

ხელშეკრულების ძირითადი პირობები

ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დამკვეთს შეუძლია მოითხოვოს ავანსი ყოველ ეტაპის ან ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან, მაქსიმუმ 80%-ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, დამკვეთმა შეიძლება მოითხოვოს საბანკო გარანტია, რაც დამოკიდებული იქნება მოთხოვნილი ავანსის ოდენობაზე, შემსრულებლის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანი ურთიერთობის გამოცდილების არსებობაზე.

შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისი ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების 0.1%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს დაერიცხება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

პროექტის დოკუმენტაციის და ეტაპების შესახებ ინფორმაციის მიღება

კონკურსანტი რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილ კრიტერიუმებს უნდა მიმართოს „ინტელკომ ჯგუფს“ პროექტის დოკუმენტაციის მისაღებად.

დოკუმენტაციის მისაღებად მიმართვა და კონკურსანტის მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება უნდა მოხდეს ელ-ფოსტაზე: levani@intellcom.net

„ინტელკომ ჯგუფი“ 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში შეისწავლის კონკურსანტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და მიიღებს გადაწყვეტილებას დოკუმენტაციის გადაცემასთან დაკავშირებით.

პროექტის დეტალური ინფორმაცია მოიცავს:

- პროექტის ნახაზებს და განმარტებით ბარათებს.
- განსახორციელებელი 3 (სამი) ეტაპის დეტალურ მონახაზს

დამატებითი პირობები და ინფორმაცია

პროექტში გარკვეული ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, "ინტელკომ ჯგუფთან" შეთანხმებით შესაძლებელია, რომ მასში შეტანილი იქნას გარკვეული კორექტივები.

ინსპექტირების დროის შეთანხმებისთვის და დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ლევან მეტრეველს

+995 (32) 2989849

+995 (599) 981779

levani@intellcom.net

დანართი N1

პროექტის ზოგადი აღწერა

ქალაქ თბილისში, ტერევერკოს 42-ში მდებარე მშენებარე საოფისე შენობაში და მის პერიმეტრზე ელექტრო მომარაგების სისტემის პროექტის აღწერა.

შენობა შედგება სამი მიწისზედა სართულისგან და ერთი მიწისქვეშა პარკინგისგან. ჯამური ფართი შეადგენს 2500 მ². შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდება სარეზერვო კვებისთვის საჭირო დიზელ-გენერატორი (მოცემულ ეტაპზე იქნება მხოლოდ ერთი გენერატორი, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი შენობის სარეზერვო კვებას). პროექტი არ მოიცავს მეხამრიდისა და დამიწების სისტემების შესრულებას და გენერატორის შექმნასა და მონტაჟს.

- ობიექტის ელექტრული დატვირთვა შეადგენს 150 კვტ-ს. სარეზერვო კვების დიზელ-გენერატორი შექმნილია (TJ220DW – 220 კვა/176 კვტ).
- მოცემული პროექტის ფარგლებში უნდა შესრულდეს სამუშაოები არსებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით:
 1. ელექტრო მომარაგების გეგმები და სქემატური ნახაზები;
აღნიშნული მოიცავს ძალოვანი ქსელის გაყვანას (მთავარი გამანაწილებელი ფარიდან სართულების და სახურავის ფარების კვებით უზრუნველყოფა).
 2. საროზეტო ქსელის გეგმები;
საროზეტო ქსელის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოების შესრულება (გაყვანილობა, მონტაჟი). აღსანიშნავია, რომ როზეტების ნაწილს კვება უნდა მიეწოდებოდეს UPS-დან. ამ მიზნისთვის გამოყენებულია ცალკეული UPS-ზე მიერთებული ფარი. საროზეტო ქსელის ნახაზების ნაწილია გარკვეული მექანიკური ტიპის დატვირთვებიც: ტუმბოები, კარების გაღება/დაკეტვის ძრავული მექანიზმები. ინფორმაცია ელექტრული დატვირთვების შესახებ უფრო დეტალურად წარმოდგენილია ელექტრო მომარაგების პროექტში.
 3. HVAC სისტემის ელ.მომარაგება;
გათბობა/გაგრილება/ვენტილაციის სისტემების უზრუნველყოფა ელექტრული კვებით და კონტროლის სისტემის გამართვა. მოცემული სისტემა მოიცავს 6 გარე VRF ბლოკს (სახურავზე), 3 AHU-ს (სახურავზე), 4 გამწოვ ვენტილატორს (სამი სახურავზე და ერთი 1 სართულზე), 2 კვამლის გამწოვ ვენტილატორს (სახურავზე), 2 რეკუპერატორს (მე-2 სართულზე), 1 დაწნევის ვენტილატორს (1 სართულის ტამბურში), 3 თბურ ფარდას (1 სართულზე) და 51 შიდა VRF ბლოკს (1, მე-2 და მე-3 სართულებზე). აღსანიშნავია, რომ შენობის გათბობა გაგრილების სისტემის და ჰაერმოდინების დანადგარების (AHU) კონტროლი და მონიტორინგი უნდა მოხდეს BMS სისტემით. ამასთანავე, სახანძრო ვენტილაციის მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს BMS-ით. უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია BMS სისტემის პროექტში.
 4. გამანაწილებელი ფარების ცალხაზოვანი სქემები;
აღნიშნული მოიცავს გამანაწილებელი ფარების აწყობას, მონტაჟს და სისტემაში ჩართვას.
 5. განათების სისტემის გეგმები;
შენობაში განათების სისტემის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოების შესრულება (გაყვანილობა/მონტაჟი/კონტროლის სისტემის გამართვა). პროექტი მოიცავს განათების დეცენტრალიზებულ მართვას KNX პროტოკოლითა და სასიგნალო წრედის გამოყენებით, გვხვდება როგორც განათებულობის დონეზე (lux level) დაფუძნებული, ასევე ლოკალური მართვა, თავის მხრივ KNX პროტოკოლის სახით წარმოდგენილია ჩამრთველები, განათებულობის/მყოფადობის სენსორები და რელეური მოდულები 16A/220V სიმძლავრით, რაც აუცილებელ ინფრასტრუქტურასთან ერთად (კვების ბლოკი, საინტეგრირო ინტერფეისი, სისტემური გარდამქმნელი) ქმნის განათების მართვის სწრაფ და დაცულ ქსელს, განათებულობის კონტროლისთვის კი გამოყენებულია KNX პროტოკოლით მართული 0-10 ვოლტიანი ანალოგური სიგნალი (სანათების

სპეციფიკაციიდან გამომდინარე- დიმერირებად სანათებს მოყვებათ 0-10 ვოლტიანი დიმერირების დრაივერი) ,ასევე გვხვდება მოძრაობის თბური სენსორები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათების ჯგუფის წრედის შეკვრას ადამიანის მიახლოების/დაფიქსირების შემთხვევაში.

6. საკაბელო არხების გეგმები;

საკაბელო არხების მოწყობა საჭირო იქნება მხოლოდ სახურავზე (ზემოთ ხსენებული მექანიკური ტიპის დატვირთვებისთვის). რაც შეეხება დანარჩენ შენობას, პროექტის დაწყების თარიღისთვის საკაბელო არხები სრულად მოწყობილი იქნება შენობის ყველა სართულზე და ასევე ელექტრო შახტებში.